წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი №6

ქ. წყალტუბო 28 აპრილი, 2023 წელი

2023 წლის 28 აპრილს, 12:00 საათზე, ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კობა გურეშიძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-სერგო კირკიტაძე, მოადგილე გიორგი დოლიძე.

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: მაკა ჭელიძე, არჩილ ღიბრაძე, რევაზ დიდავა, შალვა კილაძე, ლევან ჩანქსელიანი;

ფრაქციების თავმჯდომარეები: გიორგი ფაჩუაშვილი, ზურაბ ლექვინაძე;

წევრები: ვლადიმერ ხურცია, ლატავრა ბენდელიანი, ომარ სინაურიძე, ჯეირან ომანაძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, დავით ხიდეშელი, ვასილ მხეცაძე, ირინე ცაავა, იასონ ბზიკაძე, ავთანდილ მხეიძე, დევი დოლაბერიძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, ნინო ჭეიშვილი, თენგიზ გოგელია, სოფიო ბოლქვაძე, რუსუდან მანაგაძე, ზურაბ იოსელიანი, ნარგიზა ტყაბლაძე, გელა ბურჯალიანი, ნოდარ ასათიანი;

სხდომას არ ესწრებოდნენ: თეიმურაზ ჭეიშვილი, ნაილი ჭოლაძე, სალომე ჯიმშელეიშვილი, მამუკა ჩხეტიანი, ხათუნა მაღლაკელიძე, ვეფხვია ბანძელაძე, ფიქრია ერემეიშვილი, ავთანდილ გაბუნია, გალაქტიონ ხარაბაძე,

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ფატი გაგოშიძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - ნათია ჩაკვეტაძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი - გიორგი ჩაკვეტაძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის '' მმართველი რევაზ მესხი, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი-გელა თათარაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე მზია კიკალიშვილი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ალექსანდრე დადუნაშვილი, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მაია ბერაძე, საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები და პრესის წარმომადგენელი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კობა გურეშიძემ და საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1.,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: არჩილ ღიბრაძე,თანამომხს: ფატი გაგოშიძე/

2.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს:არჩილ ღიბრაძე,თანამომხს: ფატი გაგოშიძე/

3.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე.

/მომხს:არჩილ ღიბრაძე,თანამომხს: ფატი გაგოშიძე/

4. ,,ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მაკა ჭელიძე/

5.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

/მომხს: მაკა ჭელიძე/

6.,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: შალვა კილაძე, თანამომხს: ნათია ჩაკვეტაძე/

7.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წლის III- IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს:შალვა კილაძე, თანამომხს: ნათია ჩაკვეტაძე/

8. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2023 წელს საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ.

/ მომხს: რევაზ დიდავა/

9.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2022 წლის მეოთხე და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს : რევაზ დიდავა, თანამომხს:გიორგი ჩაკვეტაძე/

10.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი''-ს მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს:ლევან ჩანქსელიანი,თანამომხს:რევაზ მესხი/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კობა გურეშიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

მომხრე -30

წინააღმდეგი -0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სულ ბიუჯეტი იყო 37 488 073 ლარი, იქნება 39 273 458 ლარი.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზრდება -1 785 385 ლარით.

ბიუჯეტის ხარჯებში გაიწერება 1 785 385 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ფატი გაგოშიძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი გაიზარდა 1 785 385 ლარით. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია არაფინანსური აქტივის კლებით, მუხლის-მიწის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლით, რომელმაც შეადგინა 1 022 000 ლარი და გრანტის თანხით 670 000 ლარით.

აღნიშნული ზრდა მოხმარდა მეტად მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსებას. როგორიცაა:

1.ნაგავმზიდი მანქანების შეძენა-400 000ლარი.

2.მელიტონ ბალანჩივაძის ბიუსტის დამზადება-90 000ლარი.

3.საბავშვო ბაღების გაერთიანების სუბსიდირება -210 000ლარი. (ბაღების გათბობის სისტემის მოსაწესრიგებლად)

3. კეცხოველის ქუჩაზე ამფითეატრის მოწყობა -35 000 ლარი.
4.კეცხოველის და გოგებაშვილის ქუჩაზე სკვერის მოწყობა -180 910 ლარი.
5.№3 და №4 -საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაციისათვის -488 886 ლარი, ასევე ინკლუზიური ცენტრის ეზოს შემოღობისათვის 162 545 ლარი, დანარჩენი სხვა სამუშაოების წარმოებას.
სხდომის თავმჯდომარე კობა გურეშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-30
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.
2.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ''.
სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: ბიუროს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე კობა გურეშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-30
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.
3.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ''
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ'' და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.
4.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

,,ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე კობა გურეშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-30

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი ,, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა - ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

5.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღურების შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე კობა გურეშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-30

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღურების შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/

6.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა კილაძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კობა გურეშიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს დეპუტატებმა შეაგროვონ ინფორმაციები თავიანთ სამაჟორიტარო ოლქებში მცხოვრები ოჯახების შესახებ, რომელთაც ოთხი და მეტი შვილი ჰყავთ.

სხდომის თავმჯდომარე კობა გურეშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე-30

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

7.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა კილაძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წლის III- IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნათია ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი საზრუნავია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა. დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებს. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დახმარება გაეწია მრავალშვილიან ოჯახებს.

ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია იძულებით გადაადგილებულ 25 ოჯახს,რომელთაც გარდაეცვალათ ოჯახის წევრი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სარიტუალო ხარჯების თანადაფინანსებისათვის გამოყოფილი იქნა თითოეულზე -250 ლარი.

სოციალურად დაუცველ 36 ოჯახს, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 65 000-დან 100000-ი ქულის ჩათვლით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოეყოთ თანხა თითოეულს 250 ლარის ოდენობით. აუტიზმის სპექტრით დაავადებულ 39 ბავშვს გაეწია დახმარება თითოეულს 420 ლარის ოდენობით.

ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონპენსაცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღებ 58 პირს(თითოეულს 350 ლარის ოდენობით), სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ 9 ომის მონაწილეს თოთოეულს

350 ლარის ოდენობით, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე 8 პირს გაეწია დახმარება (თითოეულს 350 ლარის ოდენობით), ცერებრალური დამბლით დაავადებულ 28 პირს (თითოეულს -300 ლარი).თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე :ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ 8 პირს გაეწია დახმარება (თითოეულს -2000 ლარი), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 47 ბავშვს (თითოეულს 300 ლარის ოდენობით), სოციალურად დაუცველ ოჯახებს ოჯახის სარეიტინგო ქულა 0-დან 65000-ის ჩათვლით პირველ მეორე ახალშობილის შეძენაზე 2 ოჯახს გამოეყო 300- 300 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპლიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში თავშესაფრის გარეშე დარჩენილია 25 მოქალაქე.მათ ბინის ქირის ასანაზღაურებლად თვეში ერთხელ გამოეყოფათ -250 ლარი.

სხდომის თავმჯდომარე კობა გურეშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე-30

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წლის III- IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

8.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2023 წელს საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე კობა გურეშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე- 30

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2023 წელს საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/

9. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის,

გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2022 წლის მეოთხე და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე კობა გურეშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-30

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2022 წლის მეოთხე და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

10. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ჩანქსელიანის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი''-ს მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე კობა გურეშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-30

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი''-ს მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კობა გურეშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კობა გურეშიძე

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო,
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნონა ტაბიძე